ლინეარი 24

საქართველოს მთავრობას, მინისტრთა კაბინეტს

დავით სახვაძის
მის.: ქ. თბილისი, საიათნოვას ქ. №1
ტელ. 593319062
მარინე ცინცაბაძის
მის.: თბილისი, უზნაძის ქ. №4, ბ. 30
ტელ. 597718985
ჯუმბერ ხანთაძის
მის.: თბილისი, ნუცუბიძის ქ. № 117,
ბ. 18; ტელ. 577392761
გიგო ჯანდიერის
მის.: თბილისი, ვაზისუბნის I მკ.რ-ნი
მე-3 კორპ. ბ. 36, ტელ. 593390028

საქართველოს მთავრობის კანცელარია
№ 26345
8.08.2013
63

დ ა ზ უ ს ტ ე ბ უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ

2013 წლის 5 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გამოცემული ბრძანება №03/108-ით "საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და "კულტურის ძეგლად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე" (დანართი 1) უკანონოა, ის ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, არსებითად დარღვეულია მისი მიღებისა და გამოცემის წესი, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული მტკიცდება შემდეგით:

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებით საყდრისის უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს, როგორც კულტურის უძრავ ძეგლს მინიჭებული ქონდა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია (დანართი 2). 2013 წლის 26 აპრილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წერილით მიმართა კომპანიამ "RMG" (დანართი 3), რომელიც წარმოადგენს ოქროს მომპოვებელ ლიცენზიანტ ფირმას. პრემიერ-მინისტრმა ქვემდებარეობით საკითხის გასარკვევად განცხადება გადააგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (დანართი 4). საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა შექმნა კომისია, 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით (დანართი 5). კომისიის მიერ შესწავლილი უნდა ყოფილიყო თუ რამდენად პასუხობდა შესას-

წავლი ობიექტი და რამდენად შეესაბამებოდა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსს. კომისიამ იმსჯელა და მიიღო დასკვნა (დანართი 6). დასკვნა გახლავთ არაობიექტური, მცდარი, აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული ყველა მეცნიერული კვლევის საწინააღმდეგო, რის გამოც მისი გაზიარება არ შეიძლებოდა, კერძოდ:

კომისიის დასკვნის დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ საყდრისის ე.წ. „უძველესი ოქროს მაღაროსათვის" კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის და შემდგომ "ეროვნული კატეგორიის" მინიჭება მოხდა სათანადო სამეცნიერო და იურიდიული საფუძვლების გარეშე, რაც არასწორია, ვინაიდან არსებობს ამ მოსაზრებების უარმყოფელი სამეცნიერო კვლევები, როგორც ქართველი მეცნიერებისა (დანართი 7 და 8), ასევე – უცხოელი მეცნიერების (დანართი 9). გარდა ამისა, საგულისხმოა კომისიის ზოგიერთი წევრის კომენტარი (დანართი 10) დასკვნაზე (დანართი 6), სადაც დაფიქსირებულია განსხვავებული მოსაზრება დასკვნაში მოყვანილ დადგენილებაზე. ასევე აღსანიშნავია ამ დარგის სპეციალისტების შენიშვნები (დანართი 11 და 12).

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საყდრისის ტერიტორიის უნიკალურობა, როგორც კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტისა, მდგომარეობს მასში, რომ იგი გახლავთ ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV-III ათასწლეულის უძველესი სამთო მაღარო, სადაც დღეისათვისაც შემორჩენილია ოქროს მოპოვების კვალი უძველეს დროში, რისი ნათელი დადასტურებაც გახლავთ გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის წერილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი (დანართი 13).

კომისიამ არ გაითვალისწინა ზემოთმოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და დასაბუთებული არგუმენტები და ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების მოტივით ყურადღება გადაიტანა დაინტერესებული კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვაზე. აქედან გამომდინარე, კომისიამ იმსჯელა არაკომპეტენტურად და თავისი უფლებამოსილებების გადაჭარბებით, ეკონომიკური მოტივებიდან გამომდინარე უარყოფითად გადაწყვიტა ძეგლის სტატუსის შენარჩუნების საკითხი. აქვე აღსანიშნავია, რომ კომისიის ორმა წევრმა თავი შეიკავა აღნიშნულ დასკვნაზე ხელის მოწერისაგან და დააფიქსირა მოსაზრებები კომისიაზე წარმოდგენილი დოკუმენტების წინააღმდეგობრიობისა და ურთიერთგამომრიცხაობის შესახებ (დანართი 14).

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიღებისას სახეზე გვექნებოდა ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევა, კომისია ვალდებული იყო შეესწავლა საყდრისის ტერიტორიაზე არსებული მეცნიერული კვლევები, გამოეთხოვა გეოლოგიის ინსტიტუტში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებში დაცული ნაშრომები, გაეანალიზებინა ისინი, საჭიროების შემთხვევაში ჩაეტარებინა ექსპერიმენტი და კვლევა სათანადო მიმართულებით და მხოლოდ ამის შემდგომ მიეღო შესაბამისი დასკვნა. ფაქტი ერთია, კომისიამ, სათანადო გამოკვლევის გარეშე, რაც დასკვნის მიღებისათვის იყო საჭირო, მიიღო გადაწყვეტილება,

რის გამოც კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული დასკვნა ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს:

1. არ ასრულებს რა კომისია თავის ვალდებულებას, დასკვნის მეორე პუნქტში აღიარებს, რომ ამჯერად წარმოდგენილია ანგარიშები და სხვა მასალები ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობის შესახებ, მაგრამ ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან ხარვეზებს და "წარმოდგენილი არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა არ არის დამაჯერებელი". აქვე, კომისიის აზრით გამოთქმულია ვარაუდი, რომ "გამონამუშევრები შეიძლება უკავშირდებოდეს სპილენძის მადნის მცირე მასშტაბით მოპოვებას". ამრიგად, ახალი ბრძანების საფუძველი ხდება კომისიის მიერ გამოთქმული მხოლოდ ვარაუდი - "ეს შეიძლება უკავშირდებოდეს" და არა მეცნიერულად დადასტურებული ფაქტები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თუნდაც სპილენძის მაღაროს არსებობის შემთხვევაში ძეგლი უნიკალურია იმ პერიოდისათვის, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე საყდრისში დღემდე არსებულ არცერთ მეცნიერულ დასკვნაში არ გახლავთ საუბარი სპილენძის მოპოვების შესახებ. არცერთი ისტორიული წყარო არ საუბრობს ამის თაობაზე.

2. დასკვნის მესამე პუნქტში მოყვანილია, რომ "სამთო გამონამუშევრების უდიდესი ნაწილი ხელმისაწვდომი არაა და უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტად საშიშია". კომისიის სამუშაო რეგლამენტი პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს ობიექტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს, ვინაიდან მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის ობიექტი და არა იმას, როგორ იქნება იგი უსაფრთხო და ხელმისაწვდომი. მითუმეტეს, რომ კომისიისავე აზრით უმნიშვნელო ნაწილი მაინც არის ხელმისაწვდომი. ხსენებული მოსაზრება კომისიის არაკომპეტენტურობის მაჩვენებელია. საყრდრისის ისტორიულ კულტურული ძეგლი მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული და ღირშესანიშნავია მსოფლიო ისტორისათვისათვის სწორედ იმის გამო, რომ ის ასახავს ძველი წელთათრიცხვის IV–III ათასწლეულში ადამიანის მიერ ოქროს მოპოვებას. იმ პერიოდისათვის ზოგი გვირაბი და მისასვლელი ბუნებრივია არ შეიძლება ყოფილიყო თანამედროვეობის დარი.

3. კომისიის მე-4 და მე-5 პუნქტებში მოყვანილი მოსაზრებებით კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო კარგავს ნეიტრალურ ფუნქციას. ემსახურება კერძო სამართლის სუბიექტის ინტერესს და არ ასრულებს თავის ვალდებულებას, რაზედაც 1-2 პუნქტებში მოგახსენებთ.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე გასაჩივრებული **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება ამავე სამინისტროს მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, არსებითად დარღვეულია მისი მიღებისა და გამოცემის წესი, რის გამოც იგი ბათილია ამავე კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, რის მოთხოვნასაც თქვენს წინაშე ვაყენებთ.**

დანართი 1. - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 იელისის ბრძანება №03/108. 1 ფურცელი;

დანართი 2. - საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულება. 2 ფურცელი;

დანართი 3. - კომპანიის "RMG" წერილი პრემიერ-მინისტრს. 2 ფურცელი;

დანართი 4. - საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეზოლუცია, 1 ფურცელი;

დანართი 5. - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის ბრძანება №03/82. 1 ფურცელი;

დანართი 6. - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. 7 ფურცელი;

დანართი 7. - "საყდრისის უძველესი მაღაროს მადნური ქანების კვლევა", თბილისი. 2009. 7 ფურცელი;

დანართი 8. - "უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ.ა. VI-III ათასწლეულში". თბილისი 2010. 2 ფურცელი;

დანართი 9. - "The Gold Mine of Sakdrissi: Analyses and calculation of the prehistoric gold-exploatation", Deutches Bergbau-Museum Bochum, Ruhr-University of Bochum, Germany. 25 ფურცელი;

დანართი 10. - კომისიის წევრის, გ. მირცხულავას მოსაზრება. 1 ფურცელი;

დანართი 11. - კომისიის წევრის, რ. კანაშვილის შენიშვნები. 2 ფურცელი;

დანართი 12. - ინფორმაცია საყდრისის ყაჩაღიანის უბნის უძველესი სამთამადნო ძეგლის შესახებ, ვ. გელეიშვილი, ნ. ქაჯაია. 5 ფურცელი;

დანართი 13. - წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს. 2 ფურცელი;

დანართი 14. - მოსაზრებები საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ძეგლთან დაკავშირებით. 1 ფურცელი;

დ. სახვაძე

მ. ცინცაბაძე

ჯ. ხანთაძე

გ. ჯანდიერი